

585
1959

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 10 (97)

ნოემბერი


1959 წელი

უ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

7832

1. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.
2. კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.
3. საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.
4. კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ.
5. კანონი „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-50 მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ.
6. კანონი „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 144 და 145 მუხლებში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
7. კანონი „საავტომობილო გზების მშენებლობაზე და რემონტში კოლმეურნეობების საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
8. კანონი „საქართველოს სსრ ქალაქებსა და მუშათა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ მოქალაქეთა პირად საკუთრების პირუტყვის შენახვის აკრძალვის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
9. კანონი „საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 47-ე მუხლის შეფარდების წესის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
10. კანონი „თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდებულების მიმართ სასჯელის მოხდის რეჟიმის შეცვლის წესის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობისაგან ამხ. კ. ს. ციმაკურიძის განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
12. საქართველოს სსრ ზოგიერთი მინისტრის განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.
13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათ-



ლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ნ. ე. ჭაბრაკიას დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

14. საქართველოს სსრ ზოგიერთი მინისტრის დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

15. ამხ. ამხ. ფ. ა. აბუხბას და ა. მ. ლლონტის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან.

16. ამხ. ამხ. ა. მ. ცინცაძისა და ნ. რ. აკაბას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად არჩევის შესახებ.

17. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილებების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

18. ბრძანებულება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდებულების მიმართ სასჯელის მოხდის რეჟიმის შეცვლის წესის შესახებ.

19. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულებთან მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

20. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ყარაღაღ-თბილისის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობაზე.

21. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მანარაძის რაიონში მდინარე სუფსაზე კაპიტალური ხიდის მშენებლობის საქმეში.

22. ბრძანებულება მედლით „ზანდარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

23. ბრძანებულება მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

24. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის კვლევითი ატომგულის რეაქტორის მშენებლობაზე.

25. მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

1. კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარ-
მოდგენილი საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი
საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების თანახმად მიღებული ცვლილებებით:
შემოსავლის ნაწილში 6.436.838 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში
6.436.838 ათასი მანეთის ოდენობით, და ამას გარდა, საბიუჯეტო სახსრების
გარდამავალი ნაშთი 1961 წლის 1 იანვრისათვის 180.000 ათასი მანეთის ოდენ-
ობით.

მუხლი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუ-
ჯეტში შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგა-
ნიზაციებისაგან სულ 5.703.529 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუ-
ჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — მძიმე მრეწველო-
ბის, სამბენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის
მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალ-
ხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის საერთო თან-
ხით 2.619.299 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუ-
ჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებისათვის — საყოველთაო
სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-
საკვლევო დაწესებულებების, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების, ბიბ-
ლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობის, განათლე-
ბისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო
ბაგების, სანატორიუმების, ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის
სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებებისათვის — სულ 3.468.274
ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუ-
ჯეტში ასიგნებანი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შენახვაზე — 173.817
ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1960 წლის რესპუბლიკური
ბიუჯეტი შემდეგი თანხებით: შემოსავალი — 5.849.924 ათასი მანეთი, გასავალი
3.925.818 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლი-
კების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და

რაიონების ბიუჯეტებში ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან და დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 1.924.106 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1961 წლის 1 იანვრისათვის 110.934 ათასი მანეთი.

მუხლი 7. დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების 1960 წლის ბიუჯეტები შემდეგი თანხებით:

(ათას მანეთობით)

| | შემოსავალი | მათ შორის | | გასავალი | საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1961 წლის 1 იანვრისათვის |
|--|------------|---|---------------------------------|----------|--|
| | | ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან | | |
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 255.143 | 192.163 | — | 255.143 | 7.628 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 179.409 | 131.051 | — | 179.409 | 5.361 |
| 3. სამიწეთი ოსეთის ავტონომიური ოლქი | 78.204 | 33.883 | 36.501 | 78.204 | 2.322 |
| 4. ქალაქი თბილისი | 768.353 | 500.709 | — | 768.353 | 15.458 |
| 5. ქალაქი ქუთაისი | 100.423 | 57.679 | — | 100.423 | 1.994 |
| 6. ქალაქი ფოთი | 26.417 | 19.778 | — | 26.417 | 775 |
| 7. ქალაქი ჭიათურა | 34.720 | 31.001 | — | 34.725 | 1.496 |
| 8. ქალაქი რუსთავი | 37.739 | 31.701 | — | 37.739 | 753 |
| 9. ქალაქი გორი | 21.444 | 9.888 | — | 21.444 | 424 |
| 10. აბაშის რაიონი | 12.520 | 11.166 | — | 12.520 | 550 |
| 11. ადიგენის რაიონი | 10.462 | 4.145 | 5.532 | 10.462 | 404 |
| 12. ამბროლაურის რაიონი | 14.942 | 6.256 | 7.666 | 14.942 | 605 |
| 13. ასპინძის რაიონი | 9.291 | 1.241 | 7.633 | 9.291 | 329 |
| 14. ახალქალაქის რაიონი | 30.272 | 15.570 | 12.035 | 30.272 | 934 |
| 15. ახალციხის რაიონი | 27.069 | 20.089 | — | 27.069 | 655 |
| 16. ანბეტის რაიონი | 14.246 | 7.768 | 5.339 | 14.246 | 532 |
| 17. ბოგდანოვკის რაიონი | 13.964 | 2.776 | 10.428 | 13.964 | 508 |
| 18. ბოლნისის რაიონი | 16.626 | 8.998 | 5.739 | 16.626 | 545 |
| 19. ბორჯომის რაიონი | 19.984 | 15.905 | — | 19.984 | 505 |
| 20. გეგეჭკორის რაიონი | 27.817 | 11.950 | 14.196 | 27.817 | 999 |
| 21. გორის რაიონი | 22.547 | 20.271 | — | 22.547 | 1.001 |
| 22. გურჯაანის რაიონი | 31.182 | 24.793 | 2.889 | 31.182 | 799 |
| 23. დმანისის რაიონი | 15.289 | 3.405 | 11.060 | 15.289 | 661 |
| 24. დუშეთის რაიონი | 22.063 | 4.956 | 14.574 | 22.063 | 736 |
| 25. ვანის რაიონი | 16.699 | 6.506 | 8.289 | 16.699 | 659 |
| 26. ხესტაფონის რაიონი | 23.984 | 20.795 | — | 23.984 | 795 |
| 27. ხუგდიდის რაიონი | 48.631 | 43.710 | — | 48.631 | 1.316 |
| 28. თეთრიწყაროს რაიონი | 21.142 | 5.259 | 13.393 | 21.142 | 747 |
| 29. თელავის რაიონი | 26.979 | 23.006 | — | 26.979 | 746 |
| 30. თერჯოლის რაიონი | 15.492 | 5.982 | 8.257 | 15.492 | 505 |
| 31. თიანეთის რაიონი | 12.236 | 3.101 | 8.679 | 12.236 | 371 |
| 32. კასპის რაიონი | 22.404 | 18.061 | — | 22.404 | 702 |
| 33. ლაგოდეხის რაიონი | 25.213 | 19.427 | — | 25.213 | 766 |
| 34. ლანჩხუთის რაიონი | 17.411 | 11.868 | — | 17.411 | 617 |
| 35. ლენტეხის რაიონი | 11.508 | 1.331 | 9.910 | 11.508 | 303 |
| 36. მაიაკოვსკის რაიონი | 12.334 | 4.660 | 6.220 | 12.334 | 502 |
| 37. მარნეულის რაიონი | 26.809 | 24.163 | — | 26.809 | 835 |
| 38. მახარაძის რაიონი | 35.943 | 25.957 | — | 35.943 | 1.080 |
| 39. მესტიის რაიონი | 12.963 | 2.160 | 10.490 | 12.963 | 406 |

(ათას მანეთობით)

| | შემოსავალი | მათ შორის | | გასავალი | საბიუჯეტო სახსრების გარდაგებული ნაშთი 1961 წლის 1 იანვრისათვის |
|----------------------------------|------------------|---|---------------------------------|------------------|--|
| | | ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან | დღივითა რესპუბლიკური ბიუჯეტიდან | | |
| 40. მცხეთის რაიონი | 14.867 | 11.907 | — | 14.867 | 511 |
| 41. ონის რაიონი | 13.757 | 4.254 | 8.778 | 13.757 | 467 |
| 42. ორჯონიკიძის რაიონი | 18.102 | 4.931 | 11.523 | 18.102 | 628 |
| 43. საგარეჯოს რაიონი | 18.472 | 13.112 | 2.729 | 18.472 | 593 |
| 44. სამტრედიის რაიონი | 22.481 | 17.045 | — | 22.481 | 742 |
| 45. საჩხერის რაიონი | 14.792 | 3.695 | 9.634 | 14.792 | 536 |
| 46. სიღნაღის რაიონი | 20.595 | 18.055 | — | 20.595 | 670 |
| 47. ტყიბულის რაიონი | 19.722 | 16.857 | — | 19.722 | 573 |
| 48. ქარელის რაიონი | 17.858 | 15.462 | — | 17.858 | 674 |
| 49. ყაზბეგის რაიონი | 10.062 | 1.345 | 8.308 | 10.062 | 268 |
| 50. ყვარლის რაიონი | 16.319 | 8.430 | 6.622 | 16.319 | 544 |
| 51. ჩოხატაურის რაიონი | 21.311 | 8.870 | 11.014 | 21.311 | 667 |
| 52. ჩხორღუყუს რაიონი | 13.367 | 7.954 | 4.736 | 13.367 | 530 |
| 53. ცაგერის რაიონი | 13.080 | 7.473 | 4.537 | 13.080 | 489 |
| 54. ცხაკაიას რაიონი | 25.221 | 20.998 | — | 25.221 | 747 |
| 55. წალენჯიხის რაიონი | 13.875 | 11.325 | 1.027 | 13.875 | 536 |
| 56. წალკის რაიონი | 18.322 | 5.518 | 11.640 | 18.322 | 765 |
| 57. წითელწყაროს რაიონი | 17.817 | 12.553 | 3.089 | 17.817 | 442 |
| 58. წულუკიძის რაიონი | 21.499 | 6.920 | 12.104 | 21.499 | 589 |
| 59. წყალტუბოს რაიონი | 23.933 | 16.191 | 3.192 | 23.933 | 540 |
| 60. ხაშურის რაიონი | 22.858 | 19.121 | 154 | 22.858 | 710 |
| 61. ხობის რაიონი | 12.836 | 5.359 | 5.686 | 12.836 | 521 |
| ს უ ლ | 2.511.020 | 1.620.503 | 303 603 | 2.511 020 | 69.066 |

დამტკიცდეს 1960 წლისათვის ანარიცხები საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

- ა) სატყეო შემოსავლიდან 100 პროცენტი;
- ბ) ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადიდან 100 პროცენტი;
- გ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

| | ანარიცხების პროცენტები | | | | |
|--|---------------------------------------|--|---------------------------------|---|-----------------------|
| | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | „ოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადი“ | სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან | სსრკ უცხოლო, უკმბო, მარტოხელა და მკირე-ოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
| 1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 45 | 100 | 100 | 88 | 19.0 |
| 2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 45 | 100 | 100 | 95 | 19.5 |
| 3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 4. ქალაქი თბილისი | 43 | 100 | 74 | 100 | 13.0 |
| 5. ქალაქი ქუთაისი | 30 | — | — | 100 | 12.9 |
| 6. ქალაქი ფოთი | 40 | — | 100 | 100 | 36.1 |
| 7. ქალაქი ჭიათურა | 50 | 100 | 100 | 100 | 98.1 |
| 8. ქალაქი რუსთავი | 40 | — | — | 100 | 77.5 |
| 9. ქალაქი გორი | 30 | — | — | 100 | 31.9 |
| 10. აბაშის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 99.1 |
| 11. აღიგენის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 12. ამბროლაურის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 13. ასპინძის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 14. ახალქალაქის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 15. ახალციხის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 41.7 |
| 16. ანჟეფის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 17. ბოჭორის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 18. ბოლნისის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 19. ბორჯომის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 43.4 |
| 20. გეგეჭკორის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 21. გორის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 41.1 |
| 22. გურჯაანის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 23. დმანისის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 24. დუშეთის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 25. ფანის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 26. ხესტაფონის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 34.4 |
| 27. ხუგდიძის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 37.1 |
| 28. თეთრიწყაროს რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 29. თელავის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 43.6 |
| 30. თერჯოლის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 31. თიანეთის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 32. კასპის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 47.2 |
| 33. ლაგოდეხის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 44.8 |
| 34. ლანჩხუთის რაიონი | 50 | 70 | 100 | 100 | 6.9 |
| 35. ლენტეხის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | — |
| 36. მაიაკოვსკის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 37. მარნეულის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 50.4 |
| 38. მანაზკის რაიონი | 20 | 50 | 50 | 100 | 16.9 |
| 39. მესტიის რაიონი | 100 | — | 100 | 100 | — |
| 40. მცხეთის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 71.5 |
| 41. ონის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 42. ორჯონიკიძის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 43. საგარეჯოს რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 44. სამტრედიის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 17.6 |
| 45. საჩხერის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 46. სიღნაღის რაიონი | 50 | 100 | 100 | 00 | 85.2 |
| 47. ტყიბულის რაიონი | 60 | 100 | 100 | 100 | 58.7 |
| 48. ქარგლის რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 88.7 |
| 49. ყაზბეგის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 50. ყვარლის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 51. ჩხატაურის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 52. ჩხოროწყუს რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 53. ცაგერის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 54. ცხაკაიას რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 50.3 |

(ათას მანეთობით).

| | ანარიცხების პროცენტები | | | | |
|----------------------------------|---------------------------------------|---|---------------------------------|---|-----------------------|
| | მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან | კომლექტურნობათა საშემოსავლო გადასახადიდან | სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან | სსრკ უცხოეთში, შუქრობა, მარჯონი და მცირე-ოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან | ბრუნვის გადასახადიდან |
| 55. წალენჯიხის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 56. წალკის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 57. წითელწყაროს რაიონი | 50 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 58. წულუკიძის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 59. წყლტუბოს რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 60. ხაშურის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |
| 61. ხობის რაიონი | 100 | 100 | 100 | 100 | 100.0 |

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძაწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 26 ნოემბერი.

2. კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ადგენს:

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში აღნიშნული და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე დებუტატების მიერ გამოთქმული შენიშვნები და მიიღოს მათ გარშემო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძაწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 26 ნოემბერი.

3. საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში შემოსავლებში 5.609.897 ათასი მანეთის, ხარჯებში — 5.567.937 ათასი მანეთის ოდენობით, შემოსავლის ხარჯებზე 41.960 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 26 ნოემბერი.

4. კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ

დეპუტატის გაწვევის უფლება, როგორც სოციალისტური დემოკრატიზმის ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რაც საბჭოთა სახელმწიფოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად დაწესდა, გამოხატავს მშრომელთა სრულუფლებიანობას და უზრუნველყოფს დეპუტატის ნამდვილ პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე.

ითვალისწინებს რა ამას, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ კონსტიტუციის 155 მუხლის შესაბამისად ადგენს:

მუხლი 1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეიძლება გაწვეულ იქნას ყოველ დროს, თუ მან ვერ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა ან ჩაიდინა ისეთი რამ, რაც არ შეეფერება დეპუტატის მაღალ წოდებას.

მუხლი 2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება უზრუნველყოფილია მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებებისათვის: კომუნისტური პარტიული ორგანიზაციებისათვის, პროფესიული კავშირების, კოოპერაციული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ორგანიზაციებისა და კულტურული საზოგადოებებისათვის—მათი რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო ორგანოების სახით, ასევე მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებებისათვის—საწარმოებსა და დაწესებულებებში, გლეხებისათვის—კოლმეურნეობებსა და სოფლებში, სამხედრო მოსამსახურეებისათვის—ჯარის ნაწილებში.

მუხლი 3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც აღძრავენ დეპუტატის გაწვევის საკითხს, ამის შესახებ ატყობინებენ დეპუტატს, ამასთან აცნობენ გაწვევის საკითხის დაყენების მოტივებს. დეპუტატს უფლება აქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ან მშრომელთა კრებებს, რომლებიც გაწვევის საკითხს აღძრავენ, წარუდგინოს ახსნა-განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით იმ გარემოებათა გამო, რომლებიც საფუძვლად დაედო გაწვევის საკითხის აღძვრას.

მუხლი 4. გადაწყვეტილებანი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კრებებისა, რომლებმაც დეპუტატის გაწვევის საკითხი აღძრეს, ეგზავნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი განიხილავს წარმოდგენილ მასალებს და თუ დეპუტატის გაწვევის საკითხი აღძრულია ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით, ნიშნავს კენჭისყრას დეპუტატის გაწვევის შესახებ.

მუხლი 5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხს განიხილავენ და წყვეტენ შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებები, რომლებსაც იწვევენ ამ კანონის 2 მუხლში აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაციები საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, ჯარის ნაწილებში, აგრეთვე ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხზე მიიღება ღია კენჭისყრით.

მუხლი 6. მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დანიშნავს კენჭისყრას დეპუტატის გაწვევის შესახებ, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 138 მუხლის თანახმად ყოველი საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის, ისევე როგორც სსრ კავშირის ყოველი მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია დაუბრკოლებელი ავტაციის უფლება დეპუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ.

მუხლი 7. დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის დროს ამ კანონის შესრულებისადმი თვალყურის სადევნებლად და კენჭისყრის შედეგების განსაზღვრისათვის შესაბამის საარჩევნო ოლქში იქმნება საოლქო კომისია მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებების წარმომადგენელთაგან, აგრეთვე მშრომელთა საერთო კრებების წარმომადგენელთაგან კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 4—5 წევრის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობ საოლქო კომისიას ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე შესაბამისად ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 8. ამომრჩეველთა კრებების ოქმებში აღინიშნება კრების დრო და ადგილი, კრების დამსწრე ამომრჩეველთა რაოდენობა, დეპუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა.

ამომრჩეველთა კრების ოქმს ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის ყველა წევრი და იგი სამი დღის ვადაში წარედგინება დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობ საოლქო კომისიას.

მუხლი 9. დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო

კომისია ამომრჩეველთა კრებების ოქმების საფუძველზე დაითვლის დებუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ ოლქში მიცემულ ხმებს და ადგენს გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგებს.

საოლქო კომისია დებუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგების ოქმს წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

მუხლი 10. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დებუტატი გაწვეულად ითვლება თუ გაწვევას ხმა მისცა ამ საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობამ.

მუხლი 11. დებუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგებს არაუგვიანეს ხუთი დღისა კენჭისყრის შედეგების განსაზღვრის შემდეგ აქვეყნებს დებუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია.

მუხლი 12. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დებუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის დროს ამ კანონის დარღვევის გამო საჩივრებს განიხილავს დებუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია.

დებუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისიის არასწორი მოქმედების გამო საჩივრებს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძაწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 26 ნოემბერი.

5. კ ა ნ ო ნ ი

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-50 მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-50 მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**მუხლი 50.** საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო ქმნის საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;
საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოად-
გილეები;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;
საქართველოს სსრ მინისტრები;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის
თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშ-
როების კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის
თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო ტექნი-
კური კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეცია-
ლური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან ავტო-
ნომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები თანამდებო-
ბის მიხედვით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 26 ნოემბერი.

6. კ ა ნ ო ნ ი

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 144 და 145 მუხლებში
ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრე-
ზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბ-
ჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959
წლის 16 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კო-
დექსის 144 და 145 მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 26 ნოემბერი.

7. კ ა ნ ო ნ ი

„საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე სავაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულება „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე სავაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 26 ნოემბერი.

8. კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ ქალაქებსა და მუშათა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ მოქალაქეთა პირად საკუთრების პირუტყვის შენახვის აკრძალვის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 8 აგვისტოს ბრძანებულება „საქართველოს სსრ ქალაქებსა და მუშათა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ მოქალაქეთა პირად საკუთრების პირუტყვის შენახვის აკრძალვის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 26 ნოემბერი.

9. კ ა ნ ო ნ ი

„საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 47-ე მუხლის შეფარდების წესის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 30 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 47-ე მუხლის შეფარდების წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 26 ნოემბერი.

10. კ ა ნ ო ნ ი

„თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდებულების მიმართ სასჯელის მოხდის რეჟიმის შეცვლის წესის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 ნოემბრის ბრძანებულება „თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდებულების მიმართ სასჯელის მოხდის რეჟიმის შეცვლის წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 26 ნოემბერი.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობისაგან ამხ. კ. ს. ციმაკურიძის განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 10 სექტემბრის ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობისაგან ამხ. კონდრატე სოკრატის-ძე ციმაკურიძის გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 . 26 ნოემბერი.

12. საქართველოს სსრ ზოგიერთი მინისტრის განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1959 წლის 7 ივლისისა—ამხ. შირონ დიმიტრის-ძე ჩუბინიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის თანამდებობისაგან;

1959 წლის 10 სექტემბრისა—ამხ. ილია ნიკიფორეს-ძე ლალიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

. თბილისი.
1959 წლის 26 ნოემბერი.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ნ. ე. ჭახრაკიას დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ნიკოლოზ ერმილეს-ძე ჭახრაკიას დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძაწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წლის 26 ნოემბერი.

14. საქართველოს სსრ ზოგიერთი მინისტრის დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1959 წლის 7 ივლისისა—ამხ. არჩილ ალექსანდრეს-ძე გიგოშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად.

1959 წლის 22 სექტემბრისა—ამხ. გიორგი სამსონის-ძე ქობულიას დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძაწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 26 ნოემბერი.

15. ამხ. ამხ. ფ. ა. აბუხზას და ა. მ. ლლონტის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ადგენს:

განთავისუფლდნენ ამხ. ამხ. ფირატ ასლანის-ძე აბუხზა და ამბროსი მაქ-
სიმეს-ძე ლლონტი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვა-
ლეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძაწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 26 ნოემბერი.

16. ამხ. ამხ. ა. მ. ცინცაძისა და ნ. რ. აკაბას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ადგენს:

არჩეულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად
ამხ. ამხ. ალექსანდრე მიხეილის-ძე ცინცაძე და ნური რეჯაბის-ძე აკაბა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძაწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 26 ნოემბერი.

**17. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლო-
ბაში ზოგიერთი ცვლილებების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ადგენს:

გათავისუფლდეს დებუტატი ნიკოლოზ ერმილეს-ძე ჭაბრაკია საქართვე-
ლოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეო-
ბისაგან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპე-
ციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნვასთან
დაკავშირებით.

არჩეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ დეპუტატი ვასილ ალექსანდრეს-ძე ჩოფიკაშვილი, ამასთან განთავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების კომისიის წევრის მოვალეობისაგან.

არჩეულ იქნას დეპუტატი ალექსანდრა თევდორეს ასული კენჭაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების კომისიის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 26 ნოემბერი.

7832



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება და დადგენილება

18. ბრძანებულება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდებულების მიმართ სასჯელის მოხდის რეჟიმის შეცვლის წესის შესახებ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 23 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. იმ პირებს, რომლებმაც მოიხადეს საპრობილეში მოთავსების ვადის სულ ცოტა ნახევარი, თუ ისინი სამაგალითოდ იქცევიან, სასამართლოს შეუძლია საპრობილეში მოთავსება შეუცვალოს შრომა-გასწორების კოლონიაში მოთავსებით.

2. იმ პირებს, რომლებიც ბოროტად არღვევენ შრომა-გასწორების კოლონიაში დადგენილ რეჟიმს, სასამართლოს შეუძლია კოლონიაში სასჯელის მოხდა შეუცვალოს საპრობილეში მოთავსებით არაუმეტეს სამი წლისა, სასჯელის დანარჩენი ვადის მოხდით შრომა-გასწორების კოლონიაში.

3. თავისუფლების აღკვეთის ადგილების ადმინისტრაციისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული სამეთვალყურო კომისიების წარდგინებები მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის რეჟიმის შეცვლის შესახებ ამ ბრძანებულების 1 და 2 მუხლების შესაბამისად, განიხილება მსჯავრდებულის მოთავსების ადგილის უახლოესი სახალხო სასამართლოს მიერ, მიუხედავად იმისა, თუ რომელი სასამართლოს მიერ, იყო გამოტანილი განაჩენი.

4. წარდგინებები მსჯავრდებულების სასჯელის მოხდის რეჟიმის შეცვლის შესახებ განიხილება სასამართლოს სხდომებზე, პროკურორის მონაწილეობით. სასამართლოს სხდომაზე პროკურორის გამოუცხადებლობა წარდგინების განხილვას არ შეაჩერებს.

სასამართლოს სხდომაზე აუცილებლად გამოძახებულ უნდა იქნან შესაბამისი თავისუფლების აღკვეთის ადგილის ადმინისტრაციის წარმომადგენელი და მსჯავრდებული,

5. სასამართლოს დადგენილება მსჯავრდებულების მიმართ სასჯელის მოხდის რეჟიმის შეცვლის შესახებ საკასაციო გასაჩივრებას ან გაპროტესტებას არ ექვემდებარება, მაგრამ შეიძლება გაპროტესტებულ იქნას ზედამხედველობის წესით.

6. უკეთესი სასამართლო უარს იტყვის საპრობილეში მოთავსების შეცვლაზე შრომა-გასწორების კოლონიაში მოთავსებით, მაშინ ასეთი შეცვლის შესახებ სასამართლოში ხელმეორედ წარდგენა შეიძლება არა უადრეს ერთი წლისა იმათ მიმართ, ვინც მსჯავრდებულები არიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის, ბანდიტიზმისათვის, დამამძიმებელ გარემო-

ბებში ჩადენილ განზრახ მკვლევლობისათვის, ყაჩაღობისა, სახელმწიფო, ან საზოგადო ქონების დიდი ოდენობით დატაცებისათვის;

ხოლო იმათ მიმართ, ვინც მსჯავრდებულები არიან სხვა დანაშაულებით-სათვის, საკითხის ხელმეორედ აღძვრა შეიძლება ექვესი თვის განვლის შემდეგ, დღიდან უარის თქმის შესახებ დადგენილების გამოტანისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

